საქართველოს კანონი

სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო შიდა კონტროლის, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების განხორციელების წესს, პრინციპებს, აუდიტის სტანდარტებსა და მეთოდოლოგიას, ორგანიზებას, უფლებამოსილებას, დამოუკიდებლობის გარანტიებს და საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის.

2. დაწესებულებაში სახელმწიფო შიდა კონტროლი და შიდა აუდიტი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტი – ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ცალკეული დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) შიდა აუდიტი – შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული შემოწმება, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების, დაწესებულების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენციას ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს, აგრეთვე სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის შესწავლასა და ანალიზს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

გ) შიდა აუდიტის ობიექტი – პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, სადაც ხორციელდება შიდა აუდიტი;

დ) თემატური აუდიტი – აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის (მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის) ცალკეული თემის (საკითხის) შესწავლა;

ე) გასვლითი აუდიტი – კომპლექსური ან თემატური აუდიტის განხორციელება შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის ადგილზე;

ვ) კომპლექსური აუდიტი – აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის (მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის) ყოველმხრივ შესწავლა;

ზ) ოპერაციული აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეკონომიურობისა და ეფექტურობის შესწავლა;

თ) ფინანსური აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ი) შესაბამისობის აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

კ) ეფექტიანობის აუდიტი – სახელმწიფო პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის ანალიზი და შეფასება;

ლ) კამერალური აუდიტი – შიდა აუდიტის სუბიექტში კომპლექსური ან თემატური აუდიტის განხორციელება შიდა აუდიტის ობიექტიდან მიღებული მასალების საფუძველზე;

მ) შიდა აუდიტორი – შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელი, რომელიც შიდა აუდიტს ახორციელებს ამ კანონით დადგენილი წესით;

ნ) სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორში შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის განვითარებას, ფუნქციურ სრულყოფასა და კოორდინაციას;

ო) ფინანსური მართვა და კონტროლი – შიდა კონტროლის კომპლექსური სისტემა, რომლისთვისაც პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი და რომელიც რისკის მართვის სისტემასთან ერთად უზრუნველყოფს იმას, რომ საბიუჯეტო სახსრები სათანადოდ, ეკონომიურად, ეფექტურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული დაწესებულების ამოცანების შესრულებისას;

პ) წინასწარი კონტროლის ღონისძიებები – საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურის განხორციელების, ხელშეკრულებების გაფორმების, გადახდების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შიდა აუდიტის სუბიექტისათვის მინიჭებული წინასწარი კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები;

ჟ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი – პრინციპები, რომლებიც ვრცელდება შიდა აუდიტორებზე და მოიცავს მათი ქცევის წესებს;

რ) შიდა აუდიტორული დავალება – დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაცემული წერილობითი დავალება, რომელიც შიდა აუდიტის დაწყების სამართლებრივი საფუძველია;

ს) შიდა აუდიტორული დასკვნა – შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შედგენილი დასკვნა, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესში გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ობიექტის არგუმენტაციას;

ტ) აუდიტის პროგრამა – შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის გეგმა, რომელშიც ასახულია შიდა აუდიტის საგანი, მოქმედების სფერო, ამოცანები, ხანგრძლივობა, რესურსების განაწილება ამ დავალების შესასრულებლად, შიდა აუდიტის მიდგომა და მეთოდები, ფარგლები და შიდა აუდიტის სახე;

უ) რისკის მართვის სისტემა – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია დაწესებულების არსებული და შესაძლო რისკების დროული იდენტიფიკაციისკენ, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციისკენ და განსაზღვრავს სათანადო ღონისძიებებს მათი შემცირების/აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით;

ფ) მენეჯერული ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო დაწესებულების ხელმძღვანელის მოვალეობა, იკისროს ფინანსური, მართვისა და ცალკეული პროგრამის ან პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობა და იყოს ანგარიშვალდებული მისთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის წინაშე;

ქ) აუდიტის საგანი – შიდა აუდიტორულ დავალებასა და აუდიტის პროგრამაში განსაზღვრული მიმართულება შიდა აუდიტის ობიექტის იმ საქმიანობისა, რომლის შიდა აუდიტიც უნდა განხორციელდეს;

ღ) აუდიტის სტანდარტები – კრიტერიუმები ან ნიშნულები, რომელთა მიმართაც ხდება შიდა აუდიტის შედეგების შეფასება და რომლებიც მინიმალური სახელმძღვანელო მითითებებით შიდა აუდიტორს ეხმარება აუდიტის ეტაპების და პროცედურების ინტენსივობის განსაზღვრაში, რომლებიც უნდა განხორციელდეს შიდა აუდიტის მიზნის მისაღწევად;

ყ) შიდა კონტროლი – მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს და შიდა აუდიტს, რომელიც ჩამოყალიბებულია, რათა დაწესებულებას დაეხმაროს, კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და ეფექტურად წარმართოს საქმიანობა;

შ) ინსპექტირება – სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების განხორციელების პრევენციის ან/და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული შემოწმების ღონისძიება;

ჩ) რისკის მართვა – რისკის იდენტიფიცირების, განსაზღვრისა და შეფასების პროცესი და მის სამართავად შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დასაბუთებული გარანტიის არსებობას, რომ დაწესებულების მიზნების მიღწევას არსებითი საფრთხე არ შეექმნება.

მუხლი 3. შიდა აუდიტის სუბიექტის ანგარიშვალდებულება და დამოუკიდებლობა

1. შიდა აუდიტის სუბიექტი ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს ცენტრთან კოორდინირებულად და ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა ან ამ საქმიანობასთან დაკავშირებით მისთვის ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 4. შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა ცალკეულ დაწესებულებებში

1. შიდა აუდიტის სუბიექტები უნდა შეიქმნას შემდეგ დაწესებულებებში:

ა) საქართველოს სამინისტროებში;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;

გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგეობებში (მერიებში) შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტები შესაძლოა ასევე შეიქმნას საქართველოს კონტროლის პალატაში, კერძო სამართლის იურიდიულ პირებში (რომელთა აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამ

უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მათივე გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 5. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ძირითადი მიზნები და შიდა აუდიტის განხორციელების პრინციპები

1. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საკითხების სისტემური, კომპლექსური შესწავლისა და რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების შეფასების გზით დაწესებულების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა, დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია.

2. შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) დამოუკიდებლობა;

ბ) ობიექტურობა;

გ) პროფესიონალიზმი;

დ) საჯაროობა;

ე) გამჭვირვალობა;

ვ) კანონიერება.

თავი II. შიდა აუდიტის სუბიექტის მოქმედების სფერო და ორგანიზება

მუხლი 6. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება ვრცელდება დაწესებულებაზე ან/და დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფზე (ერთეულზე) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ერთეულზე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მიზნებია:

ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) დაწესებულების სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

დ) დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;

ვ) დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის თანამშრომელთა მიერ სამართალდარღვევათა და სამსახურებრივ გადაცდომათა ჩადენის ფაქტების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა;

ზ) წინასწარი კონტროლის ღონისძიებების განხორციელება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

თ) დაწესებულების სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;

ი) დაწესებულების სისტემის ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

კ) დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და დაწესებულების ხელმძღვანელისთვის წარდგენა;

ლ) დაწესებულების მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, დაწესებულების სისტემის ორგანოების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

მ) დაწესებულების მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, მათ მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ნ) დაწესებულების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კანონიერების დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება;

ო) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

3. შიდა აუდიტის სუბიექტი უფლებამოსილია დაწესებულების ხელმძღვანელთან და ცენტრის უფროსთან შეთანხმებით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს შიდა აუდიტორული დასკვნა, ანგარიში ან/და მოხსენება.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ადეკვატური და ეფექტიანი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, აგრეთვე რისკის მართვის სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირებისათვის.

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შესწავლისა და ანალიზის ობიექტი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.

6. შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ შიდა აუდიტორებთან მათი საქმიანობის განხორციელების დროს და უზრუნველყონ მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციისა და დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ან/და ქმედების განხორციელება.

7. სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში შიდა აუდიტის სუბიექტები თანამშრომლობენ საქართველოს კონტროლის პალატასთან და ამ მიზნით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან კონტროლის პალატის ურთიერთობის კოორდინაციას და კონტროლის პალატის მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

მუხლი 7. შიდა აუდიტორული დავალება. შიდა აუდიტის ეტაპები და სახეები

1. შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს ამ კანონის მოთხოვნებისა და შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე.

2. შიდა აუდიტორული დავალების მიზანსა და მოქმედების სფეროს დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი.

3. შიდა აუდიტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) აუდიტის დაგეგმვა;

ბ) აუდიტის განხორციელება;

გ) ანგარიშგება;

დ) შემდგომი ღონისძიებები შეთავაზებული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით.

4. შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე განსახორციელებელი შიდა აუდიტი შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის:

ა) თემატური აუდიტი;

ბ) შესაბამისობის აუდიტი;

გ) ოპერაციული აუდიტი;

დ) ეფექტიანობის აუდიტი;

ე) ფინანსური აუდიტი;

ვ) კამერალური აუდიტი.

5. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების პროცესში და არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს ან/და შიდა აუდიტორებს სხვა ფუნქციების შესრულება და საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტთან, რისკის მართვასთან და ინსპექტირებასთან.

მუხლი 8. შიდა აუდიტორული დასკვნა

1. შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად უნდა შედგეს შიდა აუდიტორული დასკვნა.

2. შიდა აუდიტორული დასკვნა უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორის მიერ ცალკეული პროცესის, სისტემის ან შიდა აუდიტისადმი დაქვემდებარებული სხვა საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის, დოკუმენტაციის და სხვა მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

თავი III. მენეჯერული ანგარიშვალდებულება

მუხლი 9. მენეჯერული ანგარიშვალდებულების არსი

1. ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ცალკეული დაწესებულების ხელმძღვანელი დაწესებულების მართვისას ხელმძღვანელობს სახელმწიფო სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტური და ეფექტიანი მართვის პრინციპებით.

2. ცალკეული პროგრამის ან პროექტის ერთზე მეტი დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მართვის შემთხვევაში შესაბამისი ხელმძღვანელები წერილობით უნდა შეთანხმდნენ თითოეული მათგანის მოქმედების სფეროსა და პასუხისმგებლობაზე.

მუხლი 10. მენეჯერული ანგარიშვალდებულების ფარგლები

1. ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ცალკეული დაწესებულების ხელმძღვანელი თავისი

კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახდენს რისკის იდენტიფიცირებასა და შეფასებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს და მართავს დაწესებულების ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებს;

გ) ხელს უწყობს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) ხელს უწყობს მონაცემთა დაცვისა და მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით;

ვ) გადაწყვეტილების მიღების, განხორციელებისა და კონტროლის მიზნით ახდენს უფლებამოსილების დელეგირებას და პასუხისმგებელ პირთა პერსონიფიცირებას;

ზ) უზრუნველყოფს სრულ, უტყუარ, ზუსტ და დროულ ბუღალტრულ აღრიცხვას;

თ) ხელს უწყობს შიდა აუდიტის განხორციელებას;

ი) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგს;

კ) ახორციელებს ღონისძიებებს ანტიკორუფციული პროცედურების შემოღების მიზნით;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უნდა შეასრულონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები ამ მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 11. უფლებამოსილების დელეგირება

ამ კანონის მე-4 მუხლში მითითებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ მოახდინონ ამ კანონით განსაზღვრული თავიანთი უფლებამოსილებების დელეგირება მათდამი დაქვემდებარებულ უფლებამოსილ თანამშრომლებზე.

მუხლი 12. ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა

1. სათანადო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

2. ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება დაწესებულების ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

3. ამ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფისათვის და მისი უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორთა დამოუკიდებლობას აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების ნაწილში. მან არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსსა და შიდა აუდიტორებს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ფუნქციებისა.

5. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შიდა აუდიტორი არ იქნეს დასჯილი, თანამდებობიდან გათავისუფლებული ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანილი მის მიერ კანონის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის, შიდა აუდიტორული დასკვნის ან ანგარიშის გამო.

6. დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შიდა აუდიტის სუბიექტის ერთ თანამშრომელს მაინც ჰქონდეს დაშვება საიდუმლო ინფორმაციასთან და დოკუმენტაციასთან.

თავი IV. შიდა აუდიტორის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 13. შიდა აუდიტორის უფლებები

1. შიდა აუდიტორს შიდა აუდიტისა და რისკის შეფასების განხორციელების ფარგლებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, შეუზღუდავი დაშვება აქვს დაწესებულების სისტემის ორგანოს ყველა საქმიანობასთან და დოკუმენტაციასთან.

2. შიდა აუდიტორი უფლებამოსილია აუდიტის საგანთან დაკავშირებით შიდა აუდიტის ან/და რისკის შეფასების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტის ან/და რისკის მართვის პროცესში.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს თითოეული შიდა აუდიტორული დავალების შესასრულებლად საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, განხორციელების სიხშირე და შიდა აუდიტორთა რაოდენობა.

მუხლი 14. შიდა აუდიტორის მოვალეობები

შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ცენტრის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდოლოგია;

ბ) შიდა აუდიტის დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს შიდა აუდიტის განხორციელების შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი და პროგრამა, ასევე უფლება-მოვალეობათა ნუსხა;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) შიდა აუდიტორული დასკვნის შედგენამდე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტის შედეგები.

მუხლი 15. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი წარმართავს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობას ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი:

ა) ამზადებს და დაწესებულების ხელმძღვანელსა და ცენტრს შესათანხმებლად წარუდგენს შიდა აუდიტის საქმიანობის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;

ბ) ახორციელებს შიდა აუდიტორთა საქმიანობის კოორდინირებას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) დაწესებულების ხელმძღვანელს შესათანხმებლად წარუდგენს შიდა აუდიტორული დავალების გეგმას;

დ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე იმ შიდა აუდიტის სუბიექტში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს;

ე) ახორციელებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დაწესებულების სტრუქტურასა და ფუნქციებში განხორციელებული ცვლილებების შეფასებას;

ვ) პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის შიდა აუდიტორებით უზრუნველყოფისათვის, მათი თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების ჩათვლით;

ზ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის იმპლემენტაციაზე;

თ) უზრუნველყოფს დოკუმენტაციის აკუმულირებას რისკის ანალიზის, შიდა აუდიტის გეგმების, აუდიტის ყველა ანგარიშისა და ყველა სხვა საქმიანობის შესახებ, რომელიც ჩამოთვლილია ამ კანონში და მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში;

ი) თანამშრომლობს ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში ცენტრის თანამშრომლებს უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციით;

კ) ასრულებს ცენტრის მიერ განსაზღვრულ, საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

მუხლი 16. შიდა აუდიტორის საქმიანობის შეზღუდვა

შიდა აუდიტორს არა აქვს უფლება, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა რისკის მართვასთან და შიდა აუდიტთან დაკავშირებული ფუნქციებისა.

თავი V. ფინანსური მართვა და კონტროლი

მუხლი 17. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავება

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის ზოგად წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2. თითოეულმა დაწესებულებამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ცენტრთან შეთანხმებით, არსებული მდგომარეობისა და დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა.

3. ცენტრმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ინსტრუქცია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ.

მუხლი 18. ფინანსური მართვისა და კონტროლის დანიშნულება

1. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება ცალკეული დაწესებულების მიერ მისთვის დაკისრებული შემდეგი ამოცანების ჯეროვნად შესრულების მიზნით:

ა) ფინანსური ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური ინფორმაციის სრულად და დროულად წარდგენა;

გ) საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

დ) აქტივებისა და სხვა რესურსების დაცვა ზიანისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი მართვით, დაუსაბუთებელი ხარჯვითა და არაეფექტური, არაეკონომიური გამოყენებით, ასევე არამართლზომიერი და არამიზნობრივი ხარჯვით.

2. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში

(ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

მუხლი 19. ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები

1. ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და უნდა მოიცავდეს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს:

ა) კონტროლის გარემო;

ბ) რისკის მართვა;

გ) კონტროლის ღონისძიებები;

დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია;

ე) სისტემის მონიტორინგი და შეფასება.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების შემუშავებას, ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ცენტრი გამოსცემს მეთოდურ მითითებებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების გათვალისწინებით.

მუხლი 20. კონტროლის გარემო

ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის გარემო მოიცავს:

ა) თანამშრომელთა პირად, პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებს;

ბ) მართვი სა და ხელმძღვანელობის მეთოდს;

გ) დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მისიებისა და მიზნების განსაზღვრას;

დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების, უფლებისა და მოვალეობის, ასევე ანგარიშგების დონეების იერარქიულობას;

ე) წერილობითი პროცედურებისა და შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

ვ) საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენციას;

ზ) ადამიანური რესურსების მართვას.

მუხლი 21. რისკის მართვა

1. რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა უნდა განხორციელდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

მუხლი 22. კონტროლის ღონისძიებები

1. კონტროლის ღონისძიებები უნდა ჩამოყალიბდეს რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირების მიზნით.

2. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას, უნდა იყოს დროული და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.

3. კონტროლის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს:

ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს;

ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების განხორციელებისათვის და კონტროლისათვის;

გ) ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღებას და გადახდის განხორციელებას შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე;

დ) სახსრებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ე) შიდა აუდიტორის მიერ განხორციელებულ წინასწარ და შემდგომ სამართლებრივ კონტროლს;

ვ) ფინანსური ოპერაციების სრულად, ზუსტად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას;

ზ) ცალკეული ფინანსური ოპერაციის ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებას;

თ) პროცედურულ ზედამხედველობას;

ი) შრომითი რესურსების ეფექტური მართვის პროცედურების დამკვიდრებას.

მუხლი 23. ინფორმაცია და კომუნიკაცია

1. დაწესებულების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სათანადო, ზუსტი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ყველა იერარქიულ დონეზე ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში უნდა შეიქმნას შესაბამისი საინფორმაციო

სისტემა, რომელიც ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ცხადი, ზუსტი მითითებები და ინსტრუქციები თავისი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზნით.

მუხლი 24. სისტემის მონიტორინგი და შეფასება

1. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და შეფასებისათვის მისი ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და დროულად განახლების მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგის, თვითშეფასებისა და შიდა აუდიტის მეშვეობით.

მუხლი 25. ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა

1. დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის უფროსი პასუხისმგებელია ცენტრისთვის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებისა და შემოღების შესახებ წლიური ანგარიშის მომდევნო წლის იანვრის დასრულებამდე წარდგენისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის შინაარსს და წარდგენის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ცენტრის წარდგინებით.

თავი VI. შიდა აუდიტის დაგეგმვა, შედეგები და ანგარიშგება

მუხლი 26. შიდა აუდიტის დაგეგმვა

1. თითოეული შიდა აუდიტორული დავალებისათვის მუშავდება შიდა აუდიტის გეგმა, რომელშიც აისახება მოქმედების სფერო, ამოცანები, ხანგრძლივობა და რესურსების განაწილება, შიდა აუდიტის მეთოდები, სახე და რაოდენობა.

2. შიდა აუდიტის შედეგები განსახილველად წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს და შიდა აუდიტის ობიექტის უფროსს.

მუხლი 27. შიდა აუდიტის გეგმა

1. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა;

ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

2. შიდა აუდიტის დაგეგმვა ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მისი შედეგები უნდა აისახოს შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში.

3. შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების მიზნებიდან, მოიცავს 3-წლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

4. ცენტრთან შეთანხმებული შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა თანხმდება დაწესებულების ხელმძღვანელთან.

5. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და შეიცავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ დავალებებს. შიდა აუდიტის წლიურ გეგმას ადგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან და ცენტრთან შეთანხმებით.

6. თუ შიდა აუდიტორული დავალება დაკავშირებულია უწყებათაშორის პროგრამასთან ან პროექტთან, შიდა აუდიტის წლიური გეგმა ასევე კოორდინირებული უნდა იქნეს იმ დაწესებულების შიდა აუდიტის წლიურ გეგმასთან, რომელიც ამ პროგრამაში ან პროექტში მონაწილეობს.

7. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი ცენტრთან შეთანხმებით.

მუხლი 28. შიდა აუდიტორული ანგარიში

1. შიდა აუდიტის შედეგად დგება შიდა აუდიტორული ანგარიში, რომელშიც აისახება შემაჯამებელი რეზიუმე, შიდა აუდიტორული დავალების ამოცანები და მოქმედების სფერო, გამოვლენილი ფაქტები, შიდა აუდიტორული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები, ასევე შიდა აუდიტის ობიექტის უფროსის წერილობითი მოსაზრებები.

2. შიდა აუდიტის ობიექტის უფროსი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომელიც უნდა წარუდგინოს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

მუხლი 29. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტის შესახებ;

გ) ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დაწესებულებაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;

დ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ;

ე) წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ;

ვ) შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვა.

2. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს და ცენტრს.

თავი VII. შიდა აუდიტის კოორდინირება და ჰარმონიზება

მუხლი 30. ცენტრი

1. შიდა აუდიტის კოორდინირებისა და ჰარმონიზებისათვის, აგრეთვე ფინანსური მართვისა და კონტროლისათვის პასუხისმგებელია ცენტრი, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

2. ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განახლებისათვის;

ბ) შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებების შემუშავების მიზნით პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებისათვის;

გ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის შემუშავებისათვის;

დ) სახელმწიფო შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის სფეროში შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნისათვის;

ე) შიდა აუდიტის სფეროში საერთაშორისო აუდიტორულ ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის ორგანოებთან საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებისა და კოორდინაციისათვის;

ვ) შიდა აუდიტის სფეროში ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში გამოცემული შიდაუწყებრივი წესების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებისათვის;

ზ) შიდა აუდიტის სფეროში შესაბამისი დაწესებულების თანამშრომლებისთვის პერიოდულად სასწავლო/პრაქტიკული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებისათვის;

თ) შიდა აუდიტის სუბიექტისთვის ინსტრუქციის შემუშავებისათვის, მათ შორის, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინიმალური საკადრო რესურსისა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შიდა აუდიტორების ინტერესთა კონფლიქტის წესების, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიისა და შიდა აუდიტის ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;

ი) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსური კონტროლისა და მართვის სისტემის, შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის და სახელმძღვანელო წესების შესრულების შეფასებისა და მონიტორინგისათვის.

3. ცენტრის საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ცენტრის წესდების საფუძველზე.

მუხლი 31. ცენტრის საქმიანობის კონტროლი

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალდებულია განახორციელოს ცენტრის საქმიანობის სისტემატური კონტროლი.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალდებულია განახორციელოს ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსისა და შიდა აუდიტორთა პროფესიულ გადამზადებას, აგრეთვე ორგანიზება გაუწიოს რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობას შიდა აუდიტის სტრატეგიის, მეთოდოლოგიის და სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის განხორციელების საერთო საკითხებზე.

თავი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 32. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში დაამტკიცოს შიდა აუდიტის სტანდარტები და მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები.

2. სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში გამოსცეს მეთოდური მითითებები ამ კანონით გათვალისწინებული ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების გათვალისწინებით.

3. 2010 წლის 1 მაისისთვის გაუქმდეს სახელმწიფო შიდა ფინანსურ კონტროლთან და შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო – ჰარმონიზაციის ცენტრი და შეიქმნას სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმით.

4. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყონ შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა თავიანთ დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისა.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა დაწესებულებებმა 2013 წლამდე უზრუნველყონ შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა.

6. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნამდე უფლებამოსილია შიდა აუდიტის განსახორციელებლად თხოვნით მიმართოს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან არსებულ შიდა აუდიტის სუბიექტს, რომელიც დაწესებულების ხელმძღვანელთან და ცენტრთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ამ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შიდა აუდიტის განხორციელებას.

7. ამ კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება დაიწყოს 2012 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 33. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2010 წლის 26 მარტი.
№283 9–Iს